№2554 2014 წლის 30 დეკემბერი ქ. თბილისი

სამსახურებრივი ავტომანქანებით სარგებლობის, შესყიდვისა და განახლების საკითხების შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის 2014 წლის 24 დეკემბრის №5 სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ

1. „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილების შესაბამისად, მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 ოქტომბრის №266 დადგენილებით შექმნილი სამსახურებრივი ავტომანქანებით სარგებლობის, შესყიდვისა და განახლების საკითხების შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის 2014 წლის 24 დეკემბრის №5 სხდომის ოქმი.

2. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის“ მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 ოქტომბრის №266 დადგენილებით შექმნილი სამსახურებრივი ავტომანქანებით სარგებლო-

ბის, შესყიდვისა და განახლების საკითხების შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის 2014 წლის 24 დეკემბრის №5 სხდომაზე განხილულ საკითხთან დაკავშირებით მიღებული №1 გადაწყვეტილება.

3. ამ განკარგულების შესაბამისად, შესყიდვა განხორციელდეს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 აგვისტოს №1328 განკარგულებით ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ფუნქციონირებისთვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხებით.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**